ISSN 1512-1801

The 4th Teacher Conference "**University and School**" (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

მხატრული ლიტერატურის სწავლება და კლასგარეშე აქტივობები, როგორც ზნეობრივი ღირებულებების ფორმირების საშუალება

დოდო ბერძენი

თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის პირველი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტ-ის მასწავლებელი

ანოტაცია

ნაშრომი "ზნეობრივი ღირებულებების ფორმირება მოსწავლეებში მხატვრული ლიტერატურის სწავლებისას და კლასგარეშე საქმიანობაში" აღწერილია ზნეობის სწავლება მოსწავლეებში პრაქტიკული, ცხოვრებისეული მაგალითებისა და ლიტერატურული გმირების ხასიათების გათვალისწინებით, რომელიც მოსწავლეებში აყალიბებს პატრიოტულ, ინტერნაციონალურ , ჰუმანურ და სხვა ისეთ თვისებებს , რომელიც საჭიროა თანამედროვე ადამიანისთვის.

ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების სწავლებისას მოსწავლეები აკვირდებიან გმირების ხასიათებს. ერკვევიან მათ დადებით და უარყოფით თვისებებში ,ეჩვევიან ხასიათებზე დაკვირვებას, თვითშეფასებას და სწორი დასკვნების გამოტანის უნარ-ჩვევებს. თემის მიზანი სწორედ გეზის სწორად არჩევა და ახალგაზრდებში ჯანსაღი ჩვევების დამკვიდრებაა.

ეროვნული სასწავლო გეგმა ამის საუკეთესო ნიმუში და პედაგოგის გზამკვლევია. მას მხოლოდ პედაგოგის შემოქმედებითი მიდგომა და მოზარდისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება სჭირდება. გაკვეთილი სსწორად დაგეგმვა,მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვლა, ახალი მეთოდებისა და მეთოდოლოგიების გამოყენება, სხვა ქვეყნის ხალხთა ზნეობის, ტრადიციებისა და კულტურის გაცნობა საუკეთესო ნიმუშებია პიროვნების ზნეობრივად ფორმირებისა.

საკვანძო სიტყვები: *მხატვრული ლიტერატურა, ზნეობრივი აღზრდა, სასწავლო გეგმა*

ISSN 1512-1801

The 4th Teacher Conference "**University and School**" (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

სად ყალიბდება მოზარდი ?

ზნეობა ყოველთვის იყო ადამიანის სიცოცხლის არსის კანონზომიერება.იგი იყო და არის საძირკველი კაცობრიობის ცხოვრების წესისა და საზომი ჩამოყალიბებისა.ამიტომ პედგოგიური მეცნიერება მისხალ-მისხალ აყალიბებდა და აყალიბებს, კინძავდა და კინძავს იმ საკვანძო საკითხებს, პრაქტიკული გამოცდილების მაგალითებს, რომელიც დახმარებას გაუწევს საზოგადოებას, პედაგოგებს, მშობლებს და ყველა იმ დაინტერესებულ პირს, რომელსაც განსაკუთრებული კავშირი აქვს მოზარდთან,ახალგაზრდობასთან.

ბევრი დაიწერა და იწერება ზნეობის შესახებ, ბევრი კითხვა დასმულა სად და როგორ ყალიბდება ადამიანი? ვინ ან რა არის მთავარი ფაქტორი ზნეობის ნორმების შესისხლხორცებისათვის? ვის ევალება, ვის უფრო კარგად გამოსდის შეგონება და მიდგომა? სად ყალიბდება და ვინ აყალიბებს მოზარდს? აი ფიქრის საგანი კაცობრიობისა, აი საკითხი დედამიწაზე მოსიარულე იმ ადამიანებისა, რომლებსაც სიცოცხლის სიყვარული მომავალი თაობის სიყვარულით, სიმართლით, ტოლერანტობით, ღვთის სიყვარულით და მიტევებით განუსაზღვრა და აღზრდის დიდი წვდომა და სურვილი ჩაუგვირისტა შემოქმედმა. სახელად სწორი აღზრდა დაარქვა და იგი პედაგოგიური მეცნიერების დიდ ოჯახში გააერთიანა. მოციქულად მეცნიერებას მასწავლებელი მიუჩინა და მას მოზარდის აღზრდის პროცესებში შერჩეული მიდგომა და ფაქიზი დამოკიდებულება დააკისრა.

საზოგადოება , ოჯახი და გარემო. მასწავლებლის პასუხისმგელობა განუზომლად დიდია ღვთისა და ერის წინაშე. მას ყველაზე ძვირფასი, მომავალი თაობის აღზრდა ანდეს და ანდერძად დაუბარეს : "ცემა გმართებს გამზრდელისა, როს ყრმა ნახო ცუდად ზრდილი." მამაპაპური სიბრძნე შეგონებაა, გაფხიზლებს, მაგრამ ამ მძიმე ტვირთს მარტო აღმზრდელი ვერ გასწვდება. დიდი თეორიტიკოსები და პრაქტიკოსები სასწავლო პროცესებს მჭიდროდ უკავშირებდნენ და უკავშირებენ საზოგადოებას, ოჯახს, გარემოს და ყველა იმ პროცესებს, რომელსაც ერთ სივრცეში მოჰყავს და განიხილავს პედაგოგიკა .

თემის მიზანისწორედ ამ საკითხებზე დაკვირვება, სწორი გზების შერჩევა, მოზარდში ზნეობრივი უნარ- ჩვევების გაღვიძებისა და დამკვიდრების გზების ძიებაა, რომელიც მას აძლევს საშუალებას შემდგომში იყოს საზოგადოების აქტიური და ჯანსაღი წევრი

მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება აუცილებელი პირობაა. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა ამის საუკეთესო ნიმუში და პედაგოგის გზამკვლევია, ამ პროცესს მხოლოდ პედაგოგის შემოქმედებითი მიდგომა და მოზარდისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება სჭირდება. როგორ ვგეგმავ სასწავლო -სააღმზრდელო პროცესს? ვითვალისწინებ თუ არა, მოსწავლეთა იტერესებს ?, ვეცნობი თუ არა მათ ოჯახურ პირობებს? რატომ გამირბიან მშობლები და შევძლებ კი მათ ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში? როგორ ჩამოვაყალიბო აღსაზრდელთან ურთიერთობები? მშობლებს

ISSN 1512-1801

პედაგოგიურ საკითხებზე გათვითცნობიერება სჭირდება, როგორ შევარჩიო და გავანაწილო საკითხები? კლასგარეშე ღონისძიებების დაგეგმარება მარტო ჩემი საქმე არ არის, ჩემ გვერდით მოზარდებია. ვითვალისწინებ დიდი პედაგოგის, დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორიას": „აღმზრდელი , რომელიც არ ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს, მათ ინტერესებს , სურვილებს და ხელმძღვანელობს საკუთარი მოტივებით და ის, რაც აღმზრდელის აზრით კეთილდღეობას წარმოადგენს, აღსაზრდელისათვის ხშირად წყლად იქცევა." გამოცდილება და დიდი ადამიანების სიბრძნის გათვალისწინება კარგი კონოფილმივითაა კადრები გასწავლის, კადრები გხვეწს და კადრები გკარნახობს. პირველი და მთავარი მასწავლებლის შემოქმედებითობაა, პროფესიისადმი სიყვარული და იმ თეორიული გამოცდილების გათვალისწინებაა, რომელიც უნდა იწამო. დანარჩენი ანკარა წყაროსავით მოედინება და დაეწაფე.

სათავე. სად იწყება ზნეობრივი აღზრდა და და სად მთავრდება იგი? კითხვა ყველას აწვალებს. გათითოებული ადამიანები ამას ვერ შეძლებენ და ვერც უპასუხებენ, რადგან მოზარდი მარგალიტია და თუ მის გარშემო მარგალიტივით არ ავიკინძებით პროცესი წარუმატებლად მიმდინარეობს და უკუჩვენების რეალობა საზოგადოებისა და პიროვნებისათვის ძლიერ საშიშია.

„აღზრდის ტრაგედიის" გადალახვაში" უეჭველია გადამწყვეტ როლს უნდა ასრულებდეს მასწავლებელი", მასწავლებელი ჩატარებული გაკვეთილებით, მასწავლებელი თავისი ინტელექტით , მასწავლებელი- დამრიგებელი, კლასგარეშე და სკოლიგარეშე საქმიანობით.

როგორ მეხმარება ლიტერატურის გაკვეთილები? რა საკითხებზე ვამახვილებ ყურადღებას ტექსტის ანალიზის დროს, როგორ ვმუშაობ ლიტერატურულ გმირებზე, პარალელებზე, მასწავლებელი ინტუიციით ხვდება ნაწარმოების რომელი ეპიზოდი გამოიყენოს ზნეობრივი ღირებულებების წარმოსაჩენად. ამის საუკეთესო მაგალითები მრავლადაა ქართულ ლიტერატურაში, მაგრამ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" მორგებული ნორმაა ზნეობრივი საკითხების, არამარტო ქართულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში. იგი ეტაპობრივადაც ისწავლება დაბალი კლასებიდან და სიყვარულის, სამართლიანობის, მეგობრობის, ვაჟკაცობის, ღვთიურობის, ტოლერანტობის საუკეთესო ნიმუშია მოზარდის გონების საწვრთნელად. ,, აზრნი შენნი შენვე გგვანან" შეულამაზებლად გვეუბნება რუსთაველი.

-.რატომ წავიდა ავთანდილი უცხო მოყმის საძებნელად?

-რატომ დაღონდა არაბეთის მეფე, როსტევანი?
-როგორი მიჯნურია თინათინი? ნესტანი?
-როგორი მეფეა რამაზი? რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ მასში?

ISSN 1512-1801

აი კითხვები , რომელიც ხშირად სადისკუსიო საკითხია, ცვივა, იკვეთება საღი აზრი, თუმცა საწინააღმდეგოც, მაგრამ საიმედო, საინტერესო, რომელიც ჩვენმგან მოითხოვს სათუთად ჩარევას და მინიშნებას, ვეუბნები , რომ მომწონს მათი დამოკიდებულება საკითხისადმი, მსჯელობა , სიკეთისა და ბოროტების გარჩევა, რომელიც თქვენს ზნეობრიბ ღირებულებებს ახარისხებს. შეიძლება შეგეშალოთ, მაგრამ გამოსწორება შეიძლება, მთავარია, შეძლოთ და დაძლიოთ მავნე და მიუღებელი აზრი და ჩვევა

-რა კარგია, რომ ყველაფერი კარგად მთავრდება...

-სიყვარული სრულყოფილებაა, რომელიც სიწმინდეს და ერთგულებას მოითხოვს

-რომ არა ასეთი მეგობრობა ყველაფერი სხვანაირად დამთავრდებოდა

- შემიყვარდა ასმათი და ავთანდილი, არც ფატმანთან ვარ მწყრალად

კარგი მამა და მეფეა როსტევანი, შვილს გაუგო. უცხო მოყმის ბედით დაინტერესდა და გადაარჩინა. მეფე ფარსადანმა კი არ დაინახა ან ვერ დაინახა ....

მადლობას ვუხდი მოსწავლეებს საკითხისადმი საღი და სწორი მიდგომისათვის. ვპირდები, რომ ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება.

მაგალითისთვის. ზნეობის საუკეთესო მაგალითები მრავლადაა ქართულ ლიტერატურაში. მასწავლებელი ყოველთვის შეძლებს ამ საკითხების წამოწევას, მაგალითისთვის:იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა", გიორგი ლეონიძის „მოხუცი გუთნისდედის სიკვდილი," რევაზ ინაშვილისა და გოდერძი ჩოხელის ნოველები „ჩემი საწყალი სიტვარული" და' „ცხრა შეკითხვა სიყვარულის გარშემო" - ზნეობის საუკეთესო მაგალითებია.

მოსწავლეებს ვთხოვ ნაწარმოებიდან მოინიშნონ მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი ფრაზები და დაალაგონ რეიტინგის მიხედვით, კიბისებურად, შემდეგ კლასის წინაშე გააკეთონ პრეზენტაცია და ახსნან რატომ არის საინტერესო, რა ისწავლეს? ზნეობის საუკეთესო მაგალითებს აშუქებენ მოსწავლეები :

სამშობლოს სიყვარული, სხვა ერების პატივისცემას, მათი ღირსებებისა და კაცთმოყვარეობის საკითხებს აყენებს მოთხრობის წინა პლანზე დიდი იაკობი და გვეუბნება, რომ ეროვნულ ნიადაგზე აღზრდილი ფესვები ძლიერია, იგი შობს უფრო დიდ პატრიოტიზმს, როგორიცაა სხვა ერების მიმართ კეთილშობილური დამოკიდებულება, რწმენის გაღრმავება.

„ღმერთმა თქვენს გულშიაც აღზარდოს, ჩემო ყმაწვილნო მკითხველნო მოყვასთა ჩაუქრობელი სიყვარული, გაგაძღოთ მათი სიყვარულით თქვენდამი და ქეთოსავით ბედნიერად გაცოცხოთ დიდხანს"(ი.გოგებაშვილი „იავნანამ რა ჰქმნა)

,, ალალ-მართალი, გულგაწმენდილი მივდივარ წუთისოფლიდან, არავის არას ვემართლებოდი, არავის საყვედური არ მიმდევს".(გ. ლეონიძე"მოხუცი გუთნისდედის სიკვდილი")

ISSN 1512-1801

-ნინია ვალში არ არის წუთისოფელთან, თითქმის ყოველგვარი ადამიანური ამოწურა, მაგრამ სიცოცხლის დატოვება ენანება
- ნინია სიკვდილის შემდეგაც სახელიანია
- ადამიანები სიცოცხეშიც ცვილით დადიან, მხოლოდ ვისი როგორ ანათებს?
- ნინია უფლის გაჩენილი იყო და მისი მსახური
- თითოეული ჩვენგანი ადრე თუ გვიან წარვდგებით უფლის წინაშე , რა გვევალება ამისათვის სიცოცხლეში დავსვი საკონტროლო კითხვა?
- დედმამის სიყვარული, მოკეთის პატივისცემა, მიტევება, მიწის სიყვარული , გარჯა, შრომა, ღვთის შიში და მორჩილება, კეთილი საქმეების თესვა , სამშობლოსადმი თაყვანისცემა და ერთგულება და ცვიოდა ის, რაც ღირებულია კაცობრიობისთვის, ჩემთვის, თქვენთვის და მოზარდისათვის
- თურმე ყველაზე საოცარი , რაც ღმერთმა შექმნა დედამიწაზე ადამიანი ყოფილა , რომლის მთავარი დანიშნულება სულის სიწმინდეა თხზულებისათვის სტროფებიც შეირჩა „შემაძლებინე აღვანთო მე შენს წინაშე სანთელი."
„მხატვრულ ნაწარმოებებში მთლიანი ჰარმონიული ადამიანების გზა, ცხოვრების ტრაგიკული ფინალიც სიმშვენიერისა და დიდების შარავანდედითაა შემოსილი, ამიტომაც ვფიქრობ ასეთ ლიტერატურულ გმირებზე მოზარდებს სწორი მოსაზრებები უჩნდევათ და ისინი ჯიუტად არასოდეს ამტკიცებენ საკუთარ მოსაზრებებს"(რ. ინანიშვილი)
- რევაზ ინანიშვილისა და გოდერძი ჩოხელის ნოველები ზნეობის, სიმართლის აღქმის, ყოველნაირი სიყვარულის, მეგობრის გატანის, მშობლიური მიწის სურნელის, ტრადიციების შეხსენების საუკეთესო მაგალითია მოზარდებში ზნეობის მდგრადი ელემენტების დასამკვიდრებლად.

ნოველების: "ჩემი საწყალი სიყვარული"(რევაზ ინანიშვილი) და „ცხრა შეკითხვა სიყვარულის გარშემო"(გოდერძი ჩოხელი) წაკითხვის შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვ ამოიწერონ და იმსჯელონ მათთვის საინტერესო ეპიზოდებზე, აი რას ვკითხულობ:"ჩემი საწყალი სიყვარული, რომლის თავი და ბოლო სად იწყება და სად თავდება არ ვიცი, მაგრამ ვიცი,რომ მიყვარს, უსაზღვროდ მიყვარს ჩემი სამშობლო , მისი ულამაზესი ბუნებით, კამკამა წყაროებით, აზვირთებული ტალღებით და ულამაზესი ქალ-ვაჟებით. ვრწმუნდები, რომ როცა გული სხვას ვერ იტევს, გარდა სიკეთისა და მიტევებისა, მაშინ მოდის სიყვარული."(გ. ჩოხელი)

ამოუწურავია ქართულ ლიტერატურაში ზნეობისა და კაცთმოყვარეობის, აღზრდისა და სწორი ცხოვრების წესის მაგალითები

ეფექტი- აი რა ძალა აქვს მწერალს, პედაგოგს ლიტერატურის გაკვეთილებზე , მოსწავლეთა დაკვირვებას დადებით და უარყოფით გმირებზე ,სწორად გაგებულ აზრს,

ISSN 1512-1801

The 4th Teacher Conference "**University and School**" (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

ჩატარებულ დისპუტს თუ დიალოგს, პირველწყაროს, პიროვნების სწორად ფორმირებისათვის, მე მას სახელსაც მოუძებნიდი და სიყვარულის სხივებს დავარქმევდი, რომელსაც დრო სჭირდება რომ გაიშალოს და მოგვეფინოს. იქნებ ეჭვის ჭიაც ღრნით მათ პატარა სულებს, ამიტომ კიდევაც უნდა მოუწონო, აღიარო, დაუმტკიცო, დააჯერო, რწმენა არ დაუკარგო და, ჰოპლა, ისინი შენია. მოგყვებიან, გეფერებიან, სჯერათ, სწავლობენ და დუდუნებენ:

"ყმაწვილი უნდა სწავლობდეს , საცნობლად თავისადაო, ვინ არის რისთვის მოსულა სად არის, წავა სადაო"(დ. გურამიშვილი)

დიდი ქართველი ფსქოლოგი დიმიტრიუზნაძე „განწყობის თეორიაში" პედაგოგებს გვიყალიბებს აზრს და გვმოძღვრავს, რომ ნუ გავაკეთებთ აქცენტს მხოლოდ ბავშვის ინტელექტუალრ განვითარებაზე, აუცილებელია მთელი ბუნების მოქმედებაში მოყვანა, პიროვნების მთელი ძალების გახსნა, ეს სხვა პროცესებსაც მოიცავს. ეს სხვა პროცესები კლასგარეშე და სკოლისგარშე საქმიანობას უკავშირდება,რომელიც ღერძია პიროვნების ჩამოყალიბებისა და საზოგადოებაში მისი დამკვიდრებისა. აღსაზრდელის მისამართით ხშირად გვესმის სიტყვები: რატომ დააზიანე? რატომ ბრაზობ? ყველაფრისთვის პასუხს აგებ, სკოლიდან გაგადებ და სხვა , რაც მოზარს აღიზიანებს. მიდგომა შესაცვლელია, რადგან მათაც შეუძლიათ შემოგვიბრუნონ კითხვა რატომ ყველაფერისთვის ასე?, გვიპასუხეთ თუ ადვილია?

- მათ დახმარება და თანადგომა სჭირდებათ, რთულ სიტუაციებში საუკეთესო გამოსავლის პოვნა, და სამართლიანი მიდგომა
- დააზიანე სასკოლო დგამ -ავეჯი? -შეაკეთე
- ლიდერობ თანატოლებში? იყავი სამართლიანი
- რატომ არ შეიძლება მოზარდს ეპატიოს დანაშაული? - პასუხი აგე, შენ სწავლობ სამოქალაქო განათლებას. იცნობ ბავშვთა უფლებების კონვენციას.

„დამნაშავეებად არ იბადებიან, დამნაშავეებად ყალიბდებიან." მათ მოსწონთ , როდესაც ვენდობით და ვაქებთ, ვაძლევთ არჩევანის უფლებას ,ერთად ვგეგმავთ ღონისძიებებს, ექსკურსიებს, ვარჩევთ თემებს სხვადასხვა კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად,ვმუშაობთ პროექტებზე. მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა : სასკოლო , საქალაქო, რეგიონალურ,თუ რესპუბლიკურ კონკურსებში, ეწევიან ქველმოქმედებას (ეხმარევიან მარტოხელა მოხუცებს და ბავშვებს ბავშვთა სახლებიდან)მუშაობენ საკონფერენციო თემებზე,:"ჩვენ ვასწავლობთ ლიდერობას", „სიცოცხლე, რომელიც ძალიან მიყვარს", ურთიერთობენ განსაკუთრებული საჭიროების მქომე მოსწავლეებთან. მოსწონთ, როდესაც კარგ დამოკიდებულებაში ვართ მშობლ ებთან , გულისყურით ვეკიდებით მათ ინტერესებს, მისწრაფებებს, ვაძლევთ საშუალებას დამოუკიდებლად ჩაატარონ კვლევა - ძიება, ჩასწვდნენ სიძველეებს (მაგ:,, გრიგოლ ხანძთელის ნაკვალევზე" და სხვა) , უყვართ

ISSN 1512-1801

The 4th Teacher Conference "**University and School**" (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

გამარჯვებულ ი პროექტების გაცოცხლება (მაგ; „კულტურული მრავალფეროვნების დღე სკოლაში“,“თოჯინები იცინიან“) ჩამოთვლილი ღონისძიებები და კიდევ მრავალი, რომელსაც პედაგოგი ბავშვებთან ერთად დაგეგმავს. ზემოთ ჩამოთვილი საუკეთესო საშუალებაა მოზარდის სწორი აღზრდისათვის, ურთიერთობების, ჰუმანურობის, ,ნდობის პატივისცემის, აღიარებისა და სიყვარულის ამოსაქარგად მოზარდის სულში .

გმადლობთ, სიყვარულისთვის. ცხოვრება დიდი გამოცდილებაა ზნეობის წესების შეძენისა დამკვიდრებისათვის, იგი წვეთობით იღვრება და ილექება ადამიანის გონებაში, ისრუტავს ირგვლივ ყველაფერს, შემდეგ სარკედ იქცევა , ჩვენ , აღმზრდელებს გვახედებს შიგ და გვაკითხებს: მადლიერებას და უმადურობას, სიკეთეს და ბოროტებას , მიმტევებლობას და სისატიკეს, სიყვარულს და სიძულვილს შემდეგ...ფიქრის საგანს გვიტოვებს და გვაწვალებს.

დასაწყისში დავსვი კითხვა : სად ყალიბდება მოზარდი? ყალიბდება ყველგან, სადაც ჯანსაღი გარემო და წმინდა აზრია, ყალიბდება იქ, სადაც მზეს ეფერებიან ადამიანთა სუფთა გულები, ღრუბლებში ფარფატებენ და ოცნებაში იძირებიან წმინდა აზრები , წვიმით ილუმპებიან და არ სველდებიან ლამაზი ქალ- ვაჟები , გულს სიყვარულისთვის გაშლიან და შემოქმედს სწვდებიან სიწმინდისათვის, არასოდეს ავიწყდებათ მშობლებისა და მასწავლებლების გაწეული ჯაფა.

წლების შემდეგ მოდიან მინდვრის ყვავილებით, მოწიწებით თავს გიხრიან და გეუბნებიან:

გმადლობთ, სიყვარულისთვის,

გმადლობთ, რომ გვასწავლეთ ცხოვრება

დიმიტრი უზნაძის მიხედვით აღზრდის მთავარი ამოცანა ისაა, რომ თითოეულმა ადამიანმა განახორციელოს თავისი დანიშნულება. სკოლა კი ის ორგანიზაციაა, რომელიც ამ ფუნქციის შესასრულებლად არსებოს, აქ უნდა გამოიძერწოს ის სულიერი ძალები, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანების შესაძლებლობების ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. განვითარებისა და სწავლების თეორიები(ავტორები: ნათია ჯანაშია, ნათელა იმედაძე, სოფიო გორგოძე)
2. დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია
3. შოთა რუსთაველი-,,ვეფხისტყაოსანი“(ტექსტი)
4. იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?“(ტექსტი)
5. გიორგი ლეონიძე-,,მოხუცი გუთნისდედის სიკვდილი“(ტექსტი)
6. რევაზ ინანიშვილი- ,,ჩემი საწყალი სიყვარული“(ტექსტი)
7. გოდერძი ჩოხელი-,,ცხრა შეკითხვა სიყვარულის გარშემო“(ტექსტი)